# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №291

(CPV: 31518100 - პროჟექტორები; 44212314 - მილების კრონშტეინები)

თბილისი 08 დეკემბერი, 2014 წელი

ერთის მხრივ - **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზურაბ გეწაძის** სახით და მეორეს მხრივ - **შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი“** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის - **ვალერი ხომერიკის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1. ხელშეკრულების საგანია საკუთარი შემოსავლების სახსრებით პროჟექტორებისა და კრონშტეინების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია:

| N | *შესყიდვის ობიექტი* | *რაოდენობა* | *განზომილება* | *პარამეტრები* | *ერთეულის ფასი ლარი* | *საერთო ფასი ლარი* |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პროჟექტორი MS LIGHTING LED | 8.00 | ცალი | 300 1E PAR LED LIGHT, 3Watt თბილი ნათებით | 360.00 | 2 880.00 |
| 2 | კრონშტეინი-TH-40S | 20.00 | ცალი | Theatre Clamp BK | 15.00 | 300.00 |
| | | | | *სულ* | | ***3 180.00*** |

## *2. ხელშეკრულების ღირებულება*

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **3 180,00** (სამიათას ას ოთხმოცი) **ლარს**, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების ჩათვლით.

## *3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი*

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

## *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები*

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №164, ხოლო მიწოდების თარიღი - ხელშეკრულების გაფორმებიდან **2014 წლის 25 დეკემბრის** ჩათვლით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.4. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის - ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.